ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1809358

ნომერი: AR1292020

თარიღი : 08.03.2015

გაცემის თარიღი : 27.03.2015

გაცნობის თარიღი : 30.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით თევდორაძე პ/ნ 01017015987
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

მოთხოვნის შინაარსის ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაციიდან გამომდინარე, წარმოადგინეთ ცნობა საჯარო რეესტრიდან თუ რის საფუძველზე და ვის სასარგებლოდ არის დატვირთული მიწის ნაკვეთი სერვიტუტით (რომელზეც ხდება შლაგბაუმის განთავსება).

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ დადებითი პოზიციის მიღების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენი იქნება იმ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების თანხმობები (დამოწმებული ნოტარიულად) ვის სასარგებლოდაც არის დატვირთული მიწის ნაკვეთი სერვიტუტით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.